შაბათი, 1918 წ. აგვისტოს 24 № 155

წელიწადი მეორე

შაბათი, 1918 წ. აგვისტოს 24 № 155

ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აუცილებლად უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

კვირას, 25 აგვისტოს, ქ. ხონში

კ. კაპანელი-ჭანტურაია

წაიკითხავს საჯარო ლექციას

შემდეგ თემაზე:

„სოციალიზმი და ეროვნული-დემოკრატია“

ლექციის შემდეგ

გაიმართება კამათი.

ლექციის დასაწყისი დღის 11 საათზე.

კბილის ექიმები

მ. ი. ახვლედიანი და

ო. დ. პროშლიაკოვა

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ..

მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ექიმი

გ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

იყიდება სამხატვრო ყუთი ნიგვზის ხისაგან გაკეთებული. საღებავები, კისტები და სხვა სამხატვრო მოწყობილობები. იკითხეთ „ჩვ. ქვეყნის“ რედაქციაში.

Продается ящик для художника из орѣховаго дерева. краски, кисти и различныя художественныя принадлежности, справляться в редакцію газеты „Чвени Квекана“.

იყიდება ორი რკინის საწოლი, შირმა, შკაფი, კედლის საათი და სხვანი. იკითხეთ ლოლობერიძის ბინა, ორპირის ქუჩაზე. გ—ა

## ქუთაისი 24 აგვისტო.

ვაი სირცხვილო... ამ დიდმა ომმა განათლებულ ცხვილო... ქვეყნები ასახელა და გაუნათლებელი რუსეთი და მასთან საცოდავი საქართველო კი სასტიკათ შეარცხვინა. ჯერ ომმა და შემდეგ რევოლუციამ ჩამოგვაშორა ბნელი პირბადე და ნათლათ გამოაჩინა ჩვენი სახე. ოთხი წლის ომმა და ერთი წლის რევოლუციამ ცხადათ დაგვანახა ვინც ვყოფილვართ და რა შინაარსის მატარებელიც ვყოფილვართ სამშობლოის.

რომ გადავიკითხოთ რუსული გაზეთები ომის დაწყებიდან დღემდი და ავნუსხოთ ერთათ ყველაფერი, რაც იწერებოდა, რაც მოხდა და რაც დღესა ხდება—სწორეთ უცნაურ სურათს დავინახავთ. 1915-ში რუსეთი და ინგლისი იმაზე ბჭობდენ სტამბოლში რომ შევიდეთ რომლის დროშა ავმართოთო, ამაზე ბჭობდენ და თანაც განაცხადეს, რომ შემდეგ რომ უსიამოვნება არ იქნეს შეთანხმებით წინდაწინ დავადგინეთ, რომ პირველათ რუსეთის დროშა აფრიალდესო... რას ფიქრობდენ და რა მოხდა!!! ალბათ არც თავის თავს იცნობდენ და არც სხვისი ამბავი იცოდენ!

დავანებოთ თავი რუსეთს, მივიხედ-მოვიხედოთ შინ—ეზოში—ჩვენ საცოდავ სამშობლოში.

აქაც უცნაური სურათია!

გონების დამბნევი და გულის მომწყვეტია დღევანდელი ჩვენი გაზეთების ქრონიკა. ქართველთა ჯარი რაზმებათ დაყოფილი ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედებს და მათი მეთაური სარდლები სამხედრო მინისტრს ასეთ ცნობებს აწვდიან: ლეჩხუმისკენ მომქმედმა რაზმმა გორმადალი აიღოო, ჯარი თანდათან წინ მიიწევს და ლეჩხუმს მალე დაიმორჩილებსო; ოკრიბაში მომქმედმა რაზმმა ხრესილში მოწინააღმდეგე დაამარცხაო; ბაღდათის რაიონში ჩვენ ჯარს იარაღი აყარეს და ზოგიერთი დაატყვევესო; ბაღდათში ჯარი გავაძლიერეთ და ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შემდგარი მოწინააღმდეგე ძალა დავამარცხეთო; ზუგდიდიდან დელეგაცია ჩამოვიდა და საქმის მოსაგვარებლათ მოლაპარაკებას მოითხოვსო.

ასეთივე ცნობებია საჩხერიდან, რაჭიდან, სენაკიდან, ხონიდან და სხვა... ერთი სიტყვით საბრძოლველი ფრონტი ჩვენი ჯარისთვის ისევ ეზოში გაიმართა, მოწინააღმდეგე ისევ ოჯახში აღმოჩნდა, ჩვენი ასალები ფორტები ისევ ჩვენი სოფლები და დაბები ყოფილა. ჩვენი სახლკარი ჩვენი მეზობლისაგან ყოფილა დასაცავი, ჩვენს ეზოში დატენილი ზარბაზნები, თურმე ისევ ჩვენსავე ღვიძლ ძმებს უნდა დავუშინოთ. ერთი სიტყვით მოგვეჭრა თავი საქვეყნოთ, ერთი სიტყვით მოგვეცხო წარუხოცელი სირცხვილი. ჩვენი უბედურება მტერსაც კი გააკვირვებს და თუ ის ადამიანია იმასაც შეაწუხებს, რადგან ადამიანური სახის დაკარგვა და ასეთი გავერანება მტრისაც სამწუხაროა.

რას იტყვის საცოდავი ჩვენი მომავალი თაობა, თუნდ გვეყოლა, რას იტყვის მომავალი მკვლევარი ჩვენი წარსულისა! სტუდენტებსა და მოწაფეებს, გონიერსა და შეგნებულებს ვხოცავთ გაბოლშევიკებული გლეხების ნასროლი ტყვიით. ვიძახით საქართველოს და ვხოცავთ ქართველებს, ვიძახით ერთობას და ვწამლავთ ერთმანეთს. ვუძახით ქვეყნის დემოკრატიას და ვხოცავთ შინაურს. ალბათ ისე აიმღვრა საზოგადოებრივი გრძნობიერება, რომ ვეღარ ვარჩევთ რაც ხდება. შევეჩვიეთ და აღარ გვიკვირს არაფერი...

ვაი სირცხვილო, რა გვემართება! სოციალისტები გვარწმუნებდენ, რომ ჩვენ ხალხს კარგათ ვიცნობთო, ჩვენ მასთან ახლო ვართ და ის ჩვენ გამოგვყვება საითაც გვინდაო, ხალხი ჩვენია და ჩვენ ვართ მისი გზის მაჩვენებელი, დამცველი, ჭირისუფალი, მოამაგე და ასეთებიო, რა სასტიკათ სცდებოდენ თუ გულწრფელათ ამბობდენ?!!

ნუ თუ დღესაც ასე ფიქრობენ? ნუ თუ სინამდვილესაც აღარ დაუჯერებენ?

რით დავიწყეთ და რით ვათავებთ? ნუ თუ გამოცდილება ჭკუას არ გვასწავლის.

დიახ, სოციალისტების პროგრამა ცხოვრებამ შეამოწმა და მისი ღირსება გამოაჩინა.

კიდევ ბევრ რამე საყურადღებოს გვეტყვის ცხოვრება, თუ გაიგონებს ვისაც ყური აქვს და დაინახავს, ვისაც თვალი აქვს...

## საქართველო და სოც.-დემოკრატია.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ჩამოეჭრა საუკეთესო და ისტორიულად საყურადღებო ნაწილი, მას შემდეგ, რაც საქართველომ დაჰკარგა თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ მოცულობის დიდი ნაწილი, ქართველ ერს დაეტყო ეროვნული შემოქმედების და მოძრაობის სისუსტე.

ქართველი ერის ენერგია დიდიხანია მოდუნებულია, დიდიხანია ქართველის ეროვნული გრძნობა დაცრეცილია. საქართველოს უმოქმედო მდგომარეობა ეგებ კიდევ დიდხანს დარჩენილიყო, მაგრამ საერთაშორისო ომის ცეცხლმა შეანძრია თითქმის მთელი მსოფლიო, მთელი კაცობრიობა—და ამ არაჩვეულებრივი ქვეყნის ამოქმედებაში და ამოძრავებაში საქართველომაც გამოიღვიძა, საქართველოც ალაპარაკდა და ახმაურდა.

დღეს ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ეროვნულ დემოკრატებს მოღალატეებს ეძახიან, მაგრამ აბა რომელი შეგნებული ქართველი დაუჯერებს სოციალ-დემოკრატებს.

მოღალატე ვინც არის ამას ქართველი ერი დღეს ნათლად ხედავს; ვინ იყო საქართველოს სრული თავისუფლების მომხრე და ვის უნდოდა და დღესაც უნდა ქართველ ერის გაბედნიერება, ვინც დღე და ღამე საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობს, ვინც იწვის ქართველ ერისადმი სიყვარულით, ის, რა თქმა უნდა, ქართველ სოც. დემოკრატებს არ წაბაძავს: საქმე იმაში კი არ არის ვინ ცდილობს ბატონობის და მთავრობის უფლებების ხელში ჩაგდებას, საქმე იმაში კი არ არის ვინ როგორ იგინება და იეზუიტიურად სამშობლოს წინაშე თავს იმართლებს, საქმე იმაშია ვინ რა გზით მიდის და ვინ უფრო გულწრფელად ემსახურება საქართველოს და ქართველ ერს!..

სოც.-დემოკრატების წარსული საქართველოში საქართველოს ვერაფერს კარგს ვერ ეტყვის და დღეს თუ სოც.-დემოკრატია ორმაგობს და საქართველოს ბედნიერებას პირდება—ეს, ხომ ეროვნულ გრძნობის და სიყვარულის გამომხატველი მოქმედება რა არის:

ეს კომისრობის, და მინისტრების აპეტიტის მაჩვენებელია. და დარწმუნებული ვართ, რომ როგორც სოც.-დემოკრატები გაძღებიან კომისრობით და მინისტრობით საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი მაშინათვე დავიწყებული იქნება: აბა ვის გაუგონია სოციალ-დემოკრატების სამშობლოსადმი სიყვარული და პატივსცემა?

— მართალია, ბებელი ლაპარაკობდა ხშირად სამშობლოს დაცვის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ის ლაპარაკობდა არა როგორც სოციალ-დემოკრატი, არამედ როგორც ევროპიული და განსაკუთრებით კი გერმანელი.

ქართველ ერს არ დავიწყებია ჯერ ნოე ჟორდანიას სიტყვები და დიდხანსაც ვერ დაივიწყებს: ნოე ჟორდანიამ ამიერკავკასიის სეიმი რომ გახსნა სხვათა შორის სთქვა:—ეროვნული ჯარი კაცობრიობას არ ახსოვსო. ჩვენ არ ვიცით რა სინდისით სთქვა სოც. დემოკრატების ბელადმა ეს სიტყვები იმ დროს, როდესაც ევროპას და ჩვენს პლანეტას ეროვნულ ჯარის მოძრაობა აყრუებს და მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ ვიცით ის, რომ ამ სიტყვების მთქმელი საქართველოს საქმეებს ვერ გაუძღვება და საქართველოს ვერ ააშენებს.

## ხომერიკის კანონი.

მეისტორიენი ამბობენ, ლატიფუნდიებმა დაღუპეს იტალიაო. მე კი ვფიქრობ, რომ ხომერიკის კანონი დაღუპავს საქართველოს.

ცდებიან მეისტორიენი. რომი მონობამ დაღუპა და არა ლატიფუნდიებმა.

მოგეხსენებათ, რომ რომაელი პატრიციები თავის მიწებზე მონებს ამუშავებდენ. მონას ცოლის შერთვის უფლება არა ჰქონდა: სცემდენ და ფეხებს უბორკავდენ, ასაზრდოებდენ, როგორც პირუტყვსა, და საკუთარი ინიციატივა არა ჰქონდა. და, უეჭველია, სამშობლო არ ეყვარებოდა.

იმავე დროს მოქალაქე პროლეტარები არ მუშაობდენ, ვინაიდან, ჯერ ერთი, პოლიტიკასა და დროს-ტარებაში იყვნენ გართული და, მეორე, თავისუფალი კაცის შრომა მონის იძულებითს შრომას ვერ შეეცილებოდა.

# დ ღ ე ს.

**წერილები.**

მეთაური—ვაი სირცხვილო.
საქართველო და სოციალ-დემოკრატია.
ვ. წერეთელი—ხომერიკის კანონი
გ. გვაზავა—სტამბოლი.
კ. ლომთაძე—პასუხი ხალხის მეგობარს.

**ცნობები.**

უკანასკნელი ცნობები უკრაინიდან. დაწვრილებითი ცნობები ბაქოს შესახებ. თფილისიდან ჩამოვიდა რაჭველ ლეჩხუმელთაგან შემდგარი რაზმი, რომელიც ლეჩხუმის ანარქიის ჩასაქრობად მიემგზავრება.

---

დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ. ინგლისელი პროლეტარი—მუშაა და სიზარმაცის გადამგვარებელ გავლენას არ განიცდის. იმავე დროს ის—თავისუფალი მოქალაქეა და მაშასადამე სამშობლოს მოყვარე.

ხომერიკის კანონმა კი მეორე უკიდურესობა დააკანონა: წვრილი მიწის მოქმედება.

საკვირველია სწორეთ: არა თუ ლიბერალური სისტემის, არამედ სოციალ დემოკრატიული მოძღვრების მამამთავრებიც იმას ამბობენ, წვრილი მიწის მოქმედება მეცნიერულ მეურნეობას ვერ მოემარჯვებაო.

ჩვენმა სოციალდემოკრატებმა კი დაივიწყეს კარლ მარქსის ანდერძი და დააკანონეს წვრილი მიწის მოქმედება, რომლის წინააღმდეგ ოცდაათი წლის განმავლობაში ჰქადაგებდენ.

ხსენებული კანონის წყალობით დღეიდან ჩვენში არავითარს მოსახლობას შვიდ დესეტინაზე მეტი მიწა არ ექნება. ასე გასინჯეთ, რამდენიმე მოსახლობასაც არ აქვს ნება ერთს დიდ მოსახლობად გაიქცეს.

მაგრამ ამგვარი უფლებაც ვერ უშველიდა საქმეს: მწარმოებელ სამიწისმოქმედო ამხანაგობათა შეუძლებლობა დამტკიცებულია.

მაშასადამე საქართველოში მიწა კაპიტალს ველარ მიიზიდავს და მეურნეობა ვერ განვითარდება.

ზოგიერთი ჩვენი სოციალ-დემოკრატი რევიზიონისტ ედუარდ დავიდს იმოწმებს და ამბობს, წვრილი მიწის მოქმედება ინტენსიურ მეურნეობას ხელს არ უშლისო.

მაგრამ საქართველო ხომ გერმანია ან ინგლისი არ არის, რომ მებოსტნეობით, მებაღეობითა და მეძროხეობით იცხოვროს; ამგვარი მეურნეობა მხოლოდ დიდ სამრეწველო ქვეყნებში, ე. ი. მხოლოდ იქ, სადაც დიდი შინაური მაზრებია, არის შესაძლებელი.

ჩვენი ქვეყანა კი უმთავრესად—ხვნა—თესვის ქვეყანაა. მეორე მხრით განვითარებული თესვა, ე. ი. ნაყოფ-შეცვლითი მეურნეობა, შეუძლებელია შვიდ დესეტინაზე.

ამ გვარად ხომერიკის კანონმა დააკანონა ჩვენი მეურნეობის ჩამორჩენა.

ასეთი ჭირისუფლების ხელში სახელმწიფოს აშენება შესაძლებელია.?

**ვასილ წერეთელი.**

---

# ს ტ ა მ ბ ო ლ ი.

22 ივლისს

ოსმალეთის მოღვაწეებს ხშირად აქებენ—გამოცდილი დიპლომატები არიანო. არა მგონია. საქართველოს საკითხში ისინი საშინლად დამარცხდნენ. შეცდომა შეცდომას მოსდევს და არ იციან რა ჰქნან. აგერ ერთი თვეა, რაც სტამბოლში ვართ, ველით კონფერენციას, მაგრამ ჯერ არც კი ვიცით როდის დაიწყება იგი. აქ ჩვენ ოსმალეთის მთავრობამ მოგვიწვია, უნდოდა გაემაგრებინა თავის მდგომარეობა და პოლიტიკა კავკასიაში, მაგრამ ვერა სწვდება მიზანს.

ქ. ბრუსსაში გენერალ გუბერნატორმა სადილი გაგვიმართა; აქ სხვათაშორის ვსთქვი: „ნუ გაგვიმეორებთ წარსულ შეცდომებს, იმან დაგვღუპა და დაგვღუპავს“... კიდევ მაგრამ ოსმალეთი სწორედ ამ შეცდომებს იმეორებს და საშუალო საუკუნოების პოლიტიკას აწარმოებს საქართველოს შესახებ.

პოლიტიკური ცენტრი ეხლა იკვანძება ბერლინში და არა სტამბოლში: ბერლინში ჰსწყდება ყველა საკითხები საქართველოს და შეიძლება მთელი კავკასიის შესახებ. ამისთანა პირობებში ჩვენმა მუშაობამ აქ, სტამბოლში, მიიღო უფრო ოფიციოზური ხასიათი. ბევრჯერ ვიყავით გერმანიის, ბულგარეთის და ავსტრია-უნგრეთის ელჩებთან და წარმომადგენლებთან და ყველა დაწვრილებით გავაცანით საქართველოს, მის მდგომარეობას და მოთხოვნილებებს. ასეთივე მუშაობა სწარმოებს ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში; ცნობილ პოლიტიკურ პარტიაში, რომელსაც ჰქვნიან „ერთობა და პროგრესი“, ეხლა სრული განხეთქილებაა საქართველოს შესახებ. ერთი ნაწილი ენვერ-ფაშის მეთაურობით, ისევ ძველ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ დიდია ის მიმდინარეობაც რომელიც უარჰყოფს ამ მიმართულებას და მოითხოვს საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენას. ენვერ-ფაშას მე პირადათ ბევრი ველაპარაკე, როცა იმან სადილათ მიგვიწვია თავის სასახლეში. თავდაპირველად ვისარგებლე მისი კარგი გუნებით და ვთხოვე ქართველ ტყვეების განთავისუფლება, მით უფრო რომ ამის შესახებ ხელშეკრულებაცა გვაქვს მეთქი. ენვერ-ფაშამ მითხრა—„შეგიძლია გამოუცხადო ყველა ტყვეებს, რომ თავისუფალნი არიანო; მივცემ გემს და მალე ყველას გავისტუმრებ საქართველოშიო“. მერე კი, როცა ბათომის მხარეზე ჩამოუგდე ლაპარაკი—„ვიცი, თქვენ საქართველოს იმპერიალისტი ხართო“.

აი ამას ჰქვიან: „ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო!“

საზოგადოდ სიტყვა-პასუხში ყველა ტკბილი და თავაზიანია. ამას წინად სადარბაზოდ ვიყავით გ. რცხილაძე და მე ტახტის მემკვიდრე პრინცთან. მე იმედი გამოვსთქვი, რომ მათი საიმპერიო უმაღლესობა მხარს დაუჭერს ძმური განწყობილების დამყარებას თავისუფალ საქართველოს და ოსმალეთის შორის მეთქი.—„რასაკვირველია, მიპასუხა, ეს საჭიროა თვითონ ოსმალეთისთვისო“. აგრე ამბობენ, მაგრამ ღმერთმა იცის გულში რა აქვთ.

საზოგადოდ ჩემი შთაბეჭდილება აგეთია: აფხაზეთი და ჯიქეთი მოჰყვება საქართველოს ფარგლებში, ჩრდილოეთით კავკასიის ქედი უდავო საზღვარია, აღმოსავლეთით აღდგენილ იქნება ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები, მაშასადამე მთელი ბორჩალო და ყაზახის მაზრა მოიქცევა იმავე ფარგლებში. რაც შეეხება საქართველოს სამხრეთ საზღვრებს, აქ საერთაშორისო მოლაპარაკებას ბაზად დაედება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა. მაშასადამე ახალციხე და ჯავახეთი დარჩება საქართველოს; ბათომის ოლქის ბედი კი პლებისციტზეა დამყარებული.

„საქ.“

**გ. გვაზავა.**

---

# ვინ გაიმარჯვა?

გაზეთი „ერთობა“ ერთ-ერთ თავის გვერდზე სიწერს:

„როცა ქალაქ ახალ-სენაკში არჩევნები დასრულდა, ეროვნულ-დემოკრატების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. არა თუ მთელს მაზრაში, არამედ მთელს საქართველოში გამარჯვებას დღესასწაულობდენ“.

და აღნიშნავს რა საერთო ცხრილს და ჯამს მიღებულ რიცხვებისას, აღმნიშვნელს მათი გამარჯვებისას, ათავებს:

„აი, ვინ გაიმარჯვა საერობო არჩევნებში. აი ვის მისცა უმრავლესობამ თავისი ნდობა სახალხო საქმეში. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი დაუშვებელ ზომებს მიმართვენო“.

ისე მოხერხებულათ, უფრო კი დემაგოგიურათ ხმარობს თავის კალამს ამ ანგარიშის დამწერი, რომ მკითხველს სრულ სიმართლეთ და მისაღებათ მოეჩვენება ყოველივე მის მიერ აღნიშნული. ჩვენ კი დავამშვიდებთ „გამარჯვებისაგან“ თავ რეტ დასხმულ მოკალმეს და ვეტყვით, რომ ეროვნულ-დემოკრატები საარჩევნო გამარჯვებას მთელს საქართველოში არ დღესასწაულობდენ. ეს მტკნარი სიცრუეა და სენაკის და ფოთის გამარჯვება ხრონიკას არ გასცილებია.

თუ აღნიშნულ ხუთ საარჩევნო ოლქში „ბლოკსა“ ხვდა „გამარჯვება“, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: განა ჩვენ კი არ ვიცით, რომ საცა ჩვენი ყუთი არ იქნება დადგმული და „ბლოკის“ დამქაშებს შეძლება მიეცემათ სხვის მაგიერ თვით ავსონ „ბლოკის“ ყუთები, „გამარჯვება“ ამ უკანასკნელს ხვდება წილათ? ეს ჩვენ ვიცით და მიტომაც არ გაგკვირვებია მისი ამ ოლქებში „გამარჯვება“.

ხოლო რაც შეეხება ქ. ფოთსა და ქ. სენაკს, როგორც „ერთობის“ მოკალმე აღნიშნავს აქ ორმა პარტიამ, „ბლოკმა“ პირველ ქალაქში გაიყვანა ორი კაცი. მეორე ქალაქში კი მიიღო 269 ხმა და ვერც-ერთი-ვერ გაიყვანა. ხოლო მათ წინააღმდეგ გამოსულმა ერთმა მიმართულებამ ეროვნულ-დემოკრატებმა ფოთში გაიყვანა ორი კაცი; მეორე ქალაქში კი მიიღეს 297 ხმა და გაიყვანა ერთი კაცი.

რაშია საქმე?

---

# პასუხი „ხალხის მეგობარს“

ამას წინათ მე აღვნიშნე „ჩვენ ქვეყანაში“, რომ შეუწყნარებელია ერთი პირის მიერ რამდენიმე თანამდებობის დაკავება საზოგადოთ და კერძოდ სახალხო განათლების სფეროში; ეს ზოგადი ჭეშმარიტება ყველგან ასეა მიღებული და არ მესმის თუ ჩვენში დღეს ეს დებულება დაირღვა, ეს არა ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

სოც. ფედერალისტთა ბანაკი, რომელსაც ბრალი სდევს ასეთ არა ნორმალურ გზაზე დგომაში, ძლიერ გაწიწმატდა და ჩემ წინააღმდეგ ჩვეულებრივად გამოილაშქრა.

ამ გამოლაშქრებაში, როგორც არა ერთხელ, გამოაშკარავებულია ისეთი სილატაკე ფედერალისტების პუბლიცისტებისა, რომ კამათი მათთან ყოვლად შეუძლებელია ან როგორ გნებავთ ეკამათოთ ისეთ ადამიანს, რომელმაც გაიტაცა რამე, და როცა ამხილე, გეუბნება,—„ნიჭი არ გქონია, თორემ შენც მოიტაცებდიო“.

**კოწია ლომთაძე.**

---

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

## მთავრობის მოქმედება.

მთავრობამ დაადგინა: ნება მიეცეს სოხუმის ოლქის ბერძენთა ეროვნულ საბჭოს (თანახმად მათი თხოვნისა), გაიტანოს საზღვარ-გარედ 50 ათასი ფუთი თამბაქო.

— სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დადგინა მიეცეს სამხედრო მინისტრს 10 ათასი მანეთის სესხი 10 მილიონიან ფონდიდან რაჭაში ვასაგზავნ სახალხო რაზმის ხარჯების დასაფარავად.

— იუსტიციის მინისტრის მოხსენებით სისხლის სამართლის ნორმალურ წესის აღსადგენად საჭირო ზომების მიღების შესახებ მთავრობამ დაადგინა დაევალოს ყველა უწყებას და დაწესებულებას, რათა ყოველგვარი ძალაში შესული დადგენილება დაუყოვნებლივ მოყვანილ იქმნას სისრულეში.

## ყ ა ზ ბ ე გ ი დ ა ნ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მახარაძე მთავრობის თავმჯდომარეს დეპეშით ატყობინებს: „დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა კავკავში თერგის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, ყაზბეგში ჩამოვიდა. აგვისტოს 6-ს კავკავში შემოვიდნენ ყაზახები, დაიჭირეს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. თითქმის სულ განდევნეს ქალაქიდან ბოლშევიკები. დაიწყო ბრძოლა ქალაქის ქუჩებში, 10 დღის განმავლობაში ქალაქს ჯავშნოსან მატარებლიდან ესროდნენ. ასეთ უბედურების დროს ჩვენ ქალაქში ვიმყოფებოდით; როდესაც სროლა გაძლიერდა და სახლის ძარცვა დაიწყეს, სადაც ჩვენ ვიყავით, ინგუშების დახმარებით ჩვენ ქალაქიდან წავედით.

კავკავიდან ჩამოსულების სიტყვით იქ ეხლა სიწყნარეა. ყაზახები ქალაქში არ არიან. ზოგი სახლი დასწვეს, ზოგი კი სულ დაანგრიეს. იქ ახალ მთავრობას ირჩევენ დღეს. მივდივართ ყაზბეგიდან.

დელეგაციის თავმჯდ. **მახარაძე**

## პარლამენტის გარშემო.

**იურიდიული კომისია.** კომისიამ სხდომაზე მიიღო მეტად მნიშვნელოვანი კანონ-პროექტი: 1) მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის დაარსებისა და 2) რესპუბლიკის დროებითი სავანგებო სასამართლოისა. პირველი კანონპროექტი გადაეცა საბჭოს საფინანსო—საბიუჯეტო კომისიას ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველათ, ხოლო მეორე კანონ-პროექტს თვით ეროვნული საბჭო განიხილავს მორიგ სხდომაზე.

---

# უ ც ხ ო ე თ ი.

## უ კ რ ა ი ნ ა

(რედაქციის მიერ კიევიდან მიღებული გაზეთებიდან)

**სამშვიდობო კონფერენცია.**

პოლიტიკური კომისია, რომელიც იმუშავებს საკითხს რუსეთისა და უკრაინის ტერიტორიის გამიჯვნის შესახებ, სხდომები ყოველ დღე აქვს. აზრი იბადება, რომ ამ საკითხის შესახებ მოპირდაპირეთა შეთანხმება მალე მოხდება.

**შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი.**

გეტმანის ბრძანებით მინისტრთა თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი ფედორ ლიზოგუბი თანახმად თხოვნისა განთავისუფლებულ იქნა შინაგან მინისტრის თანამდებობიდან. შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა იგორ კისტიაკოვსკი.

**უკრაინის ელჩი სპარსეთში.**

უკრაინის ელჩად სპარსეთში, ნაცვლად ლევიტსკისა, ინიშნება ა. ა. კისტიაკოვსკი.

**უკრაინაში შესვლა-გასვლის შესახებ.**

გარეშე საქმეთა მინისტრი იტყობინება, რომ რუსეთში მიმავალთ უკრაინიდან გასვლის ნებართვა მიეცემათ, მხოლოდ უკრაინაში დაბრუნების კი არა. ამის ნებართვა მსურველებმა უნდა აიღონ უკრაინის ადგილობრივ კონსულებისაგან.

# ახალი ამბავი

### ქუთაისი

**ლექცია ხონში.** ხვალ 25 აგვისტოს ქ. ხონში ბ. ქ. **კაპანელი—ჭანტურაია** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „**სოციალიზმი და ეროვნული დემოკრატია.**" ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი.

✦ **ს. მეხთა სამხედრო დელეგაცია** სტამბოლიდან სამხედრო დიპლომატიურ წარმომადგენელს ატყობინებენ, რომ ოსმალთა ჯარები დაუყონებლივ გაიყვანონ ბამბაკისა და ნორის რაიონებიდან.

✦ **გერმანეთის მისიის ცნობა** ინგლისელებს დაუხვრეტიათ ისპაჰნიაში რამდენიმე სპარსელი ოფიცერი და ჟანდარმები, რადგანაც მათ უარი განუცხადებიათ ინგლისის ჯარში სამსახურზე.

✦ **შემოწირულება.** გაზ. „ჩვენი ქვეყნის" ფონდის გასაძლიერებლად ივანე გოცირიძემ შემოსწირა 25 მანეთი, რისთვისაც რედაქცია მადლობას უძღვნის.

✦ **საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა ყველა ლიანდაგზე მოსამსახურეთა საყურადღებოდ.** ხვალ, კვირას 25 აგვისტოს შუადღის სრულ 12 საათზე ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში გაიმართება კრება საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა ყველა ლიანდაგზე მოსამსახურეთა. კრებაზე მოხსენებას გააკეთებენ თბილისიდან დაბრუნებულნი რკინის გზათა მოსამსახურეების წარმომადგენელნი. საჭიროა ამ კრებას დაესწროს ყველა მოსამსახურე (როგორც სამსახურიდან დათხოვნილნი, ისე დატოვებულნიც) გასარჩევია მეტად სერიოზნული საკითხები და აგრეთვე შტატის შემცირების საკითხი.

✦ **რაზმის ჩამოსვლა.** გუშინ თფილისიდან ჩამოვიდა ახალი რაზმი, თბილისში მცხოვრებ რაჭველ-ლეჩხუმელებისაგან შემდგარი. ამ რაზმს აგზავნიან რაჭა-ლეჩხუმისაკენ ანარქიის ჩასაქრობათ და წესიერების აღსადგენათ.

✦ **სახალხო მასწავლებელთა კრება.** კვირას, 25 აგვისტოს დილის 11 საათზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაში დანიშნულია სახალხო მასწავლებელთა კრება სხვა და სხვა ფრიად საჩქარო და მწვავე საკითხების გასარჩევად. კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე სთხოვს ამხანაგებს დაესწრონ კრებას თავის დროზე.

✦ **ტყიბულის მაღაროს** მუშებთან მომხდარ კონფლიქტის მოსაგვარებლათ გაემგზავრა შრომის სამინისტროს რწმუნებული ვ. ურუშაძე.

✦ **ტყის გაჩეხა.** რაჭის მაზრაში ს. ლიხეთში მცხოვრებლებს გაუჩეხიათ აბრამ ჩულინკერელის ტყე, რის გამო უკანასკნელათ სთხოვს გუბერნიის კომისარს შესაფერისი ზომები მიიღოს ტყის გადასარჩენათ. ზარალი დღემდის ყოფილა 71750 მან.

✦ **საჩხერე.** (დეპეშა) გუშინ ოსებმა დელეგაცია გამოგზავნეს. ოსეთის ნაციონალური საბჭო ადგენს რაზმებს, ადგილობრივ ბანდების იარაღის ასაყრელათ. ველით დელეგაციას ოსეთის ნაციონალურ საბჭოსაგან.

✦ **ლეჩხუმის** მიმართულებით ჩვენი რაზმები წინ მიიწევს.

✦ **ხოლერა.** გუშინ საგიჟეში ხოლერით ავათ გახდა ორი კაცი ფხაკაძე და სვანაძე და „პოდგორნის" ქუჩის მცხოვრები გიორგი ქათამაძე.

✦ **სისხლის სამართლის მილიციის უფროსი** ჯინჭარაძე ოფიცერმა რევოლვერით დასჭრა ქალაქ ფოთში. იგი ქუთაისის საავათმყოფოში მოათავსეს.

✦ **ხილის მოვაჭრეები.** ხილით მოვაჭრეებმა ქალაქის გამგეობას თხოვნით მიმართეს, რომ მათ ნება დართონ ხილით ივაჭრონ, იმ პირობით რომ ისინი გაყიდიან სრულიად ახალს და საღ ხილს. ეს საკითხი განსახილველათ გადაეცა ხოლერასთან მებრძოლ კომისიას.

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის მე-154 ნუმერში ბ. კ. **კაპანელი-ჭანტურაიას** ფელეტონში „ეროვნული სული"-ში შემდეგი კორექტული შეცდომები შეგვეპარა: პირველ სვეტში, ზევიდან მეცამეტე სტრიქონში დასტამბულია: **აზი რია**, უნდა იყოს: **აზიელია**; მეორე სვეტში ზევიდან მერვე სტრიქონში დასტამბულია **პროგრესს და ედნიერებას**, უნდა იყოს; **პროგრესსა და ბედნიერებას.** იმავე სვეტში დასტამბულია: ქარხნებში და ფაბრიკებში უნდა იყოს: ქარხნებსა და ფაბრიკებში. მესამე სვეტში ბოლოდან პირველ სტრიქონში დასტამბულია: აღმოსავლეთის გრძნეულ სიზრმებსა უნდა იყოს: გრძნეულ სიზმრებსა და სხვა.

# ბ-ნ შოთა დადიანს.

კვირას, ივნისის 11-ს საგრებო არჩევნებისათვის გამართულს მიტინგზე ჩემი სამართლიანი პროტესტი დაიმსახურეთ თქვენი არა საკადრისი გამოსვლით. ეს ფაქტი მეამბემ გაზეთ „ჩვენი ქვეყანა"-ს ფურცლებზე აღნიშნა. ამავე გაზეთში დაიბეჭდა პროტესტი ამხანაგების დავალებით ჯარ. კაცების ირ. დიდიძის, გ. მეგრელიშვილი-ლისა და ამხ. ლოლომბერიძის. ორთავეს თქვენ გამოეხმაურეთ და იგივე ცილისწამება, იგივე უსაფუძვლო ჭორი გაიმეორეთ, რომლის გავრცელებას გულ მოდგინეთ განაგრძობთ ბლოკის მონაწილენი უკანასკნელ თვეებში. თქვენ არ გაპატიეთ ასეთი გამოსვლა, იმიტომ რომ თქვენ ინტელიგენტათ გთვლიდით და ისეთ ინტელიგენტათ, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყოველს პოლიტიკურს მოვლენას თვალყურს ადევნებს და აფასებს, ისე კი არა როგორც პარტიული ფანატიკოსი, დემაგოგი, მიუდგომლათ, ობიექტიურად, როგორც მართლა პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც პარტიული ჯგუფური ჟინიანობის სათვალეები მოხსნილი აქვს და იდეურ მოწინაღმდეგეს უყურებს, როგორც იდეურს მოწინაღმდეგეს და არა როგორც კაცის მკვლელს.

მე მეგონა ჩემი პროტესტის საბუთები იცოდით, თუ არ იცოდით თქვენ ჩემგან მოისმინეთ, მაგრამ არ გაგიგიათ განგებ და ისევ ძველებურათ განაგრძობთ. უკანასკნელათ მოგახსენებთ მოკლეთ რატომ არ გქონდათ იმის თქმის უფლება, რაც თქვენ თავს აკადრეთ მიტინგზე და შემდეგ „ხალხის მეგობარი"-ს ფურცლებზე.

საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეორე კონფერენციის დასრულების მეორე დღეს (1918 წ. ივნისის 20) თავი მოვიყარეთ მოსწავლე ახალგაზდობის დელეგატებმა საქართველოს ყველა კუთხეებიდან და ერთი მეორეს სიტყვა მივეცით გაჭირვების დროს გვერდში ამოვდგომოდით იმ დროს უიმედობის ბურუსით მოცულს ჩვენს ქვეყანას. მაშინდელი საჭირბოროტო კითხვა იყო ჯარის ნაციონალიზაცია, რომელიც ულვთოდ გაწამებისა და გატანჯვის შემდეგ მიიღო მმართველმა სოც-დემოკრატიულმა პარტიამ და ცხოვრებაში გატარება ეჭივრებოდა. რუსულ ჯარში ნამსახური ქართველი ჯარის კაცობა, რუსული უხეში ბოლშევიზმით მოწამლული და სულით ხორცამდის გაძღენთილი უკვე არსებულს ქართულს სამხედრო ნაწილებს თუ არღვევდა და შლიდა და სახელმწიფოს იარაღს, ქონებას და დოვლათს იტაცებდა და ანიავებდა თუ არა ახალი ნაწილების შექმნასა და ქართული კორპუსის კუთვნილი იარაღისა და ქონების დაცვაზე არა ფიქრობდა. ამასვე დაუმატოთ ისიც, რომ უცხო ერების ყველა სამხედრო ნაწილები (სომხების, თათრების, რუსების, პოლონელების, ბერძნების და სხვ.) ყოველ უპატრონოთ დარჩენილს ქონებას ითვისებდა. უმწვავესი და უმწარესი სადღვისო კითხვა იყო მაშინ ეს და ამას ანგარიში გაუწიეთ. წინა დღეებში კონფერენციამ დაადგინა რომ საქართველოს ფიზიკური ძალა უნდა იყოს რეგულიარული ჯარი დისციპლინით ერთ მბრძანებლობაზე დამყარებული, რომ პარტიული რაზმები ანარქიის სათავეა და ისინი არ უნდა არსებობდესო. კონფერენციამ გზა გვიჩვენა მოზარდ თაობას და სამშობლოს გულწრფელი სიყვარულით გამსჭვალულებმა დავადგინეთ ვისაც შეეძლო იარაღის ტარება ჯარში ჩავწერილიყავით. ყოველ დელეგატს დავავალეთ პარტიის წევრთათვის ყველაზე პირველათ ამ გადაწყვეტილების მიეთითებინათ და ამხანაგობაც ჯარში ჩასაწერათ მოეწოდებიათ. რამდენათაც შესაძლებელი იყო დავალება პირნათლათ შეასრულა ყოველმა ჩვენგანმა და თუ საქართველოს რეგულიარული ჯარი შერჩა ამაში დიდი წილი მიუძღვის საქ. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მეორე კონფერენციის დელეგატ სამხედრო პირებს და მოსწავლე ახალგაზდობის დელეგატებს. კონფერენციის დასრულების შემდეგ მრავალმა გამოცდილმა სამხედრო პირმა, პარტიის წევრმა შეადგინა ჯარის სხვადასხვა ნაწილები, მოსწავლე ახალგაზდობის ინიციატივით მრავალი ახალგაზრდა, როგორც სტუდენტი, მოსწავლე ისე უსწავლელნიც ერთგულნი შვილნი საყვარელი სამშობლოისა ეროვნულ ჯარის დროშის ქვეშ დადგა და შინაურსა და გარეშე მტერს მკერდით წინ გადაეღობა. ამის შემდეგ არ ყოფილა არც ერთი მცირედი მოქმედება ქართული ჯარისა საქართველოს საზღვრებში და ზოგჯერ მის გარეთაც რომ მონაწილეობა არ მიგვეღოს. ეს იყო პარტიის უზენაესი კრებულის აზრი და გადაწყვეტილება, ეს იყო კონფერენციაზე დამსწრე კერძო ჯგუფისა და პირებისაგან (სამხედრო და მოსწავლე ახალგაზრდების) მოვალეობის წმინდათ შესრულება და საჭირო დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება.

ამის შემდეგ არავის აქვს უფლება სთქვას: „რომ ეს პარტია ბრძოლის ველზე არ გვინახავსო".

ერ. დემ. პარტიის მოღალატეობაზე ლაპარაკი კიდევ შედეგია მოწინააღმდეგის დამცირების სურვილით შეპყრობილი გაანჩხლებული, უეთიკო გამოფიტული პიროვნებისა და უკვე დრო მოჭმული პარტიული ფრაზეოლოგიისა და იმისი თქმა რო „თუ კი აქა იქ, ბრძოლის ველზე ნაც. დემ. მოკლეს ეს "არ არის პარტიის ღვაწლი და მას ტყუილათ ჩიწერენ პლიუსათ, ისინი გამოდიოდენ პიროვნულათ და არა პარტიულათო" ეს არის უსინიდისობა და მეტი არაფერი. იმიტომ რომ პარტია ყოველთვის იდგა იმ თვალსაზრისზე რომ ჯარი უნდა იყოს პარტიათა გარეშე. ყოველი პიროვნება უნდა ემორჩილებოდეს იმ წეს-რიგს, რომელსაც აუცილებლათ მოითხოვს რეგულიარული ჯარის არსებობა და სამხედრო შეცნიერება. პარტიული რაზმების შექმნას, პარტიების ფიზიკურ ძალების შეიარაღებულს გამოსვლებს ეროვნულ დემოკრატიული პარტია ყოველთვის დიდს ბოროტებათ და დანაშაულათ სთვლიდა ერის წინაშე. ეს იყო ყოველი ჩვენგანისა და მთელი პარტიის აზრი და ღრმა რწმენა და ამიტომ პარტიულს დარაზმვას და შეიარაღებას რეგულიარული ჯარის შექმნა და გამარჯვება ვარჩიეთ და პარტიამ ეს ღირსეულადაც შეასრულა. და ერ. დემ. პარტიული რაზმით რომ არ გამოსულან გარეშე თუ შინაური მტრები „საბრძოლველათ ინტელიგენტისაგან ამ ფაქტის დემაგოგიურ, საიგტაციო მასალათ გამოყენება ზეპირათ მიტინგზე, წერილობით კიდევ განმეორება არის შეურაცყოფა პარტიისა, პარტიის ყოველი წევრისა რომელიც ჯარში მსახურებს, მსახურებდა და სამშობლოს მსხვერპლათ შეეწირა. ამიტომ დაიმსახურეთ ყოველი ჩვენგანის და პირადათ ჩემი-პროტესტი. ამ განმარტების შემდეგ ზრდილობა მოითხოვს თუ ბოდი"ს არ მოიხდით, გაჩუმდეთ მაინც.

საქართველოს მთავრობის საკონვოიო ასეულის მხედარი **ლეონ დგებუაძე.**

# უკანასკნელი ცნობები ბაქოდან

გუშინ ჩამოვიდა თბილისში ბაქოდან იქაური ქართველების ერთი ჯგუფი 40 კაცამდე.

ისინი მოსულან ბაქოდან მალვით ამ ხუთი დღის წინედ, [illegible] ბაქოს გვერდით თათრის სოფლებს და ადგილობრივი თათრების შემწეობით გამომგზავრებულან თბილისში რკინის გზით.

მდგომარეობა ბაქოში ამ პირთა გადმოცემით ასეთია: მთელი ძალა უფლება ამ ჟამად აღმასრულებელ კომიტეტის ხელშია, კომიტეტის დიდ უმრავლესობას შეადგენე პარტიულად: მენშევიკები, დაშნაკელები, და მემარცხენე ესერები. ეროვნების მიხედვით კი მთელი ძალა ეკუთვნის სომხებს დაშნაქციუტუნის მეთაურობით და რუსებს—კასპიის ფლოტის მფარველობით.

ხმები ინგლისის ჯარის მოსვლის შესახებ გადამეტებულია. სულ იქნებიან ბაქოში ინგლისელების რაზმი 500 კაცამდე. ისინი შესდგებიან უმთავრესად ინდოსტანის სიპაებისაგან და სპარსეთის ყოფილ ჟანრდამერიის ინსტრუქტორთაგან, ორმოც კაცამდე იქნება მათში ინგლისის ოფიცრობა. მივიდენ ისინი ენზელიდან და აგრეთვე რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან.

კარგად გაწვრთნილი ჯარი ჰყავდა ბიჩერახოვს (ბარათოვის კორპუსის ნაწილი), იმან მართლაც დაამარცხა ოსმალოს ჯარები და აჯიქაბულამდის გადმორეკა. მაგრამ ოსმალებმა გვერდით მოუარეს, შუაში მოიმწყვდიეს ბიჩერახოვის ჯარი და გაანადგურეს. ბიჩერახოვს დარჩა სულ რამდენიმე ასი კაცი, იგი მოიჭრა უკანვე ბაქოში და გაიქცა დარუბანდში. რომ იქიდან ჯარები მოეყვანა. ხაჩმაზის რაიონში ბიჩერახოვი ხელმეორედ ჩაუვარდა ხელში თათრებს, მისი რაზმი სრულიად მოისპო და თითონ ბიჩეროხავი სად არის ამ ჟამად არავინ იცის.

ბაქოს მდგომარეობა კრიტიკულია. შოლარის არხი თათრების ხელშია და ბაქოელებს წყალი არა აქვთ. არ არის აგრეთვე პური. გირვანქა პურს ვერ ყიდულობენ ვერც 20—25 მანეთად.

სულიერი მდგომარეობა ძლიერ უნუგეშოა. ირგვლივ ბაქოს სოფლები ოსმალების ხელშია. თვით ბაქოს აღება ძნელი არ არის მაგრამ ოსმალებს ბრძანება აქვთ მიღებული, რომ ბაქოს ზარალი არ მიაყენონ და სახლებიც არ დაანგრიონ, ამიტომ ცდილობენ ბაქო აიღონ უბრძოლველად ბაქოელების განკარგულებაში არის ორი ჯავშნიანი გემი, რომელიც იცავს ქალაქს. ამ ჟამად ოსმალებმა დასდგეს ზიხის კონცხზე დიდი ზარბაზნები და ეს ჯავშნიანი გემები განდევნეს სამხრეთისაკენ.

სულ ახლო მომავალში მოელიან, რომ ძალით ან ნებით ბაქოში ოსმალოს ჯარები შევლენ.

ბაქოში ახლა ყველას იწვევენ ჯარში თავდაცვის მოსაწყობად. ქართველმა კოლონიამ ჯარში გასვლაზე უარი განაცხადა, რისთვისაც ბაქოში ქართველებს დევნა დაუწყეს.

ბევრი ქართველი ბაქოდან გამორბის. მუსულმანები ყოველგან დიდ დახმარებას უწევენ და მფარველობენ ქართველ ლტოლვილებს. „საქ."

# როგორ მიმდინარეობს ჩვენში საერობო არჩევნები?

არჩევნების წესი დემოკრატიულ სახელმწიფოში შემდეგია: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, და ფარული კენჭის ყრა.

რისთვისაა საჭირო ხმის მიცემა ფარულად?

მისთვის რომ პოლიტიკურ ჯგუფთა შორის არ ჩამოვარდეს მტრობა და უსიამოვნება.

ბევრია იმისთანა პირი რომ მთავრობის პარტიას არ ემხრობა მაგრამ აშკარად ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ უთქვამს: ღევნას ერიდება. ამიტომაა საჭირო ფარულად ხმის მიცემა.

მთავრობამ მოახდინა განკარგულება, სიები ყველამ დაბეჭდეთ ფურცლის მეოთხედ თეთრ ქაღალდზეო; ეს ასე უნდა მომხდარიყო, იმიტომ რომ კაცს ვერ შეეტყო გარედან ვის რომელი პარტიის ბარათ უჭირავს. ჩვენ ასე მოვიქეცით, მაგრამ მთავრობის პარტიას, ჩვენ შეერთებულ სოციალისტურ ჯგუფს, თურმე სულ სხვა ჰქონდათ გულში. მათ აიღეს და თავისი სიები ფურცლის მერვედზე დაბეჭდეს და ისიც ცუდ ქაღალდზე.

მერვედი და მეოთხედი, ქაღალდი კი ადვილი გასარჩევია.

ამ ნაირად ფაქტიურად ფარული კენჭის ყრა შეუძლებელი შეიქმნა. ამიტომ ბევრმა ძალიან ბევრმა ვერ მისცა ხმა ეროვნულ დემოკრატებს, რადგან ეს ბლოკის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა და ბლოკი ხომ მთავრობა გახლავთ. ვინ არ იცის როგორ სდევნის მთავრობა და მისი მოხელენი თავის მოწინააღმდეგის მიმართულებას.

რასაკვირველია, ამან ბევრი დააშინა, და ჩვენ თვალწინ ვერ გადაიშალა ხალხის სულიერი განწყობილების ნამდვილი სურათი.

არჩევნები ქუთაისში და ქუთაისის მაზრაში 18 აგვისტოს მოხდა. მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ამ დღეს სახლში არ იყო. ბევრმა ვერ შეიტყო და ბევრმა არც კი იცოდა არჩევნები ერთ დღეს დასრულდებოდა თუ რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა.

წინანდელი არჩევნები რომ დღეს გაგრძელდა, ახლა ხალხს საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ეს არჩევნები ორ დღეს მაინც გასტანდა, მით უმეტეს რომ მეორე დღე უქმე იყო.

19 აგვისტოს ხალხი მოვიდა ხმის მისაცემად, მაგრამ ყუთი კი აღარ დახვდა. რასაკვირველია ამან უკმაყოფილობა გამოიწვია.

ალაგ ალაგ ხალხი პროტესტით შეხვდა არჩევნებს, მაგალითად, ზედა სიმონეთის საზოგადოებაში წმინდა გიორგის მრევლს თითქმის სრულიად არ მიუღია მონაწილეობა არჩევნებში.

აქ ეროვნული დემოკრატიის წარმომადგენელმა თეიმურაზ გრიგოლის ძე სულამანიძემ მომხდარ უკანონობის გამო პროტესტი განაცხადა და თავის თანამოაზრეებიანად წავიდა. ამ სოფლიდან ხმა მიუცია პირველი ნომრისთვის რაღაც 11-12 კაცს, ოქმში კი 33 ხმაა ნაჩვენები; ორივე მოწინააღმდეგე პარტიების მიერ არაა ოქმი ხელ მოწერილი და არც ისაა აღნიშნული, თუ რა მიზეზის გამო წავიდენ ეროვნული დემოკრატები და რას ნიშნავს 11-12 ხმა იმ სოფლიდან სადაც 800 კომლზე მეტი მცხოვრები ითვლება.

უეჭველია, რაღაც არა ნორმალური რამ ყოფილა.

ქვედა სიმონეთის ერთი სოფლის ოქმში ნაჩვენებია, რომ ეროვნულ დემოკრატებს წარმომადგენელი არ ყოლიათო და თანაც 1 ხმაა ნაჩვენები ამ პარტიის.

რაშია საქმე!

ჩვენ ვიცით რომ ეს სოფელი თანაგრძნობას ჩვენ გვიცხადებს, ჩვენ მხარეზე სდგას, მაგრამ რადგანაც არჩევნები უკანონოთ მოხდა, რადგანაც გლეხები მთავრობის პარტიამ დააშინა მათ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს და ბლოკისტებმა კი ჩაიდინეს ის რაც მათ უნდოდათ.

**გლეხი.**

## დებულებანი საქართველოს ეკლესიისა

**ქორწინება-განქორწინებისათვის.** *)

### 1 ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა

§ 1. საქართველოს ეკლესიის წევრი, რომელსაც დაქორწინება სურს, ვალდებულია შეასრულოს „წესი ჯვარის წერისა“.

§ 2. ქორწინების უფლება აქვს: კაცს ჩვიდმეტიდან სამოცდაათ წლამდე, ხოლო ქალს თოთხმეტიდან სამოცამდე: სასძლოსასიძოს წლოვანობა დადასტურებული უნდა იყოს რომელიმე ოფიციალ დოკუმენტით.

**შენიშვნა:** ეპარქიის მღვდელმთავარს შეუძლიან, როდესაც ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, ქორწინების ნება დართოს თუ ვაჟს ჩვიდმეტამდე, ხოლო ქალს თოთხმეტამდე ერთ წელიწადზე მეტი არ უკლიათ.

§ 3. ქორწინებისათვის საჭიროა ქალ-ვაჟის სრული თანხმობა და ნებაყოფლობა, რაც მათ უნდა გამოაცხადონ ჯვრისწერის დროს მღვდლის და, თუ მეტი არა, ორ სრულ წლოვან მოწმეთა წინაშე, რომელთაგან ერთი ვაჟის მხრივ იქნება და ერთი ქალის.

შენიშვნა: ქალ-ვაჟმა, მღვდელმა და მოწმეებმა ეს თანხმობა უნდა დაადასტურონ საკუთარი ხელის მოწერით საეკლესიო საბუთში.

§ 4. ქალისათვის ჩვიდმეტ წლამდე, აგრეთვე ვაჟისათვისაც, თუ მას ჩვიდმეტ წლამდე უხდება ქორწინება სავალდებულოა დედ მამის ან მზრუნველის წერილობითი ნებართვა.

§ 5. თუ ქალი და ვაჟი ისეთ სამსახურში არიან, სადაც ქორწინებისათვის საგანგებო ნების რთვის გამოთხოვაა საჭირო, ასეთი ნებართვა წერილობით უნდა იყოს დადასტურებული.

§ 6. სასძლომ და სასიძომ უნდა წარმოადგინონ აგრეთვე ექიმის მოწმობა ცოლ-ქმრობისათვის საჭირო ფიზიკურ და ფსიქიურ ჯანმრთელობისა შესახებ.

§ 7. ჯვრის წერა უნდა სრულდებოდეს ეკლესიაში, მიღებული წესით.

8. ჯვრის წერა აკრძალულია: დიდსა და მარიამობისთვის მარხვებში, ხუთ იანვარს, ოცდა ცხრა მარიამობისთვეს, თოთხმეტ ენკენისთვეს, ოცდა ოთხ დეკემბერს და აღნიშნულ დღეთა წინ საღამოს.

§ 9. ქორწინებას დააყენებს: ა) სისხლის ნათესაობა: პირდაპირი ყველა ხარისხში, არა პირდაპირი ოთხ ხარისხში; ბ) თვისობა: პირველ ოთხ ხარისხში, მეორე სამ ხარისხში; გ) ნათელ-მირონობა ორ ხარისხში.

§ 10. ქორწინება აკრძალებათ; ა) განუქორწინებელ მეუღლეთ, ბ) ბერმონაზონთ და იერარქიულ პირთ, გ) სამჯერ ქორწინებულთ.

### 2 განქორწინება

§ 11. განქორწინების კმაყოფილ მიზეზად ითვლება: ა) ცოლ-ქმარის სურვილი, ნოტარიალურად შემოწმებულ წერილობითი განცხადებაში გამოთქმული, ნებაყოფილობით განშორების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილებულ იქმნება იმ შემთხვევაში, თუ მას სამი თვის შემდეგ კვლავ განიმეორებენ; ბ) ცოლ-ქმრის ხასიათითა და რწმენით შეუგუებლობა, რომელიც შეუძლებელად ხდის მათ ერთად ცხოვრებას გ) ოჯახისათვის ცხადი უზრუნველობა და მისდამი უყურადღებობა; დ) ერთ-ერთ მეუღლის მიერ სჯულის გამოცვლა ან სრულიად მიტოვება; ე) ერთ ერთ მეუღლის მიერ ყველა სამოქალაქო უფლებათა დაკარგვა; ვ) ორი წლის განმავლობაში ერთ ერთ მეუღლის უკვალოდ დაკარგვა; ზ) ერთი მეუღლის მიერ მეორის განზრახ თავის დანებება ერთი წლის განმავლობაში თ) ავადმყოფობა ერთი მეუღლისა მეორისადმი; ია) საჭურისობა და განუკურნებელი მცველობა; ი) ვენერიული და სხვა ყოველგვარი განუკურნებელი გადამდები და სიცოცხლისათვის სახიფათო ფიზიკური სენი; იბ) ეპილეფსია, სიგიჟე და იდიოტიზმი; იგ) დაშინებით, ძალდატანებით და მოტყუილებით ჯვრის წერისა; იდ) შვილოსნობის წინააღმდეგ განზრახ ზომების მიღება; იე) არა ბუნებრივი სქესობრივი აქტი; ივ) მრუშობა; იზ) ლოთობა.

**შენიშვნა:** ჩამოთვლილ მიზეზებით გარდა პირველისა განქორწინება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ საფუძველზე პროცესს აღძრავს მეორე, დაინტერესებული მხარე.

§ 12. განქორწინების საქმეს აწარმოებს საეპარქიო სასამართლო.

§ 13. ზემო ჩამოთვლილი მიზეზები (11), საეპარქიო სასამართლოს თხოვნით, თუ ეს ამას საჭიროდ სცნობს, გამოძიებულ დადასტურებულ უნდა იყოს შესაფერ სამსჯავრო საადმინისტრაციო ანუ სამკურნალო დაწესებულებათა მიერ.

§ 14. საეპარქიო სასამართლოს განაჩენი უკმაყოფილო მხარეს შეუძლია, არა უგვიანეს ერთი თვისა, საკათალიკოზო სასამართლოში საქმის გადასინჯვა ითხოვოს საკასაციო წესით.

**განმარტება მეცხრე პარაგრაფისა:**

პირდაპირი სისხლით ნათესაობა ისეთი ნათესაობაა, რომელიც მშობელთა და მათ პირდაპირ შთამომავლობათა შორის არსებობს, მაგალითად: მე და ჩემი შთამომავლობა ან და მე და ჩემი წინაპარნი.

არაპირდაპირი სისხლით ნათესაობა ისეთი ნათესაობაა, რომელიც და-ძმათა და მათ შთამომავლობათა შორის არსებობს, მაგალითად: მე ან ჩემი შთამომავლობა ერთის მხრით და ჩემი და ძმა ან მათი შთამომავლობა მეორე მხრით. პირველი თვისობა ისეთი ნათესაობაა, რომელსაც ამყარებს ერთი ქორწინება ორ სხვა და სხვა გვარეულობათა შორის, მაგალითად მე და ჩემი მეუღლის სისხლით ნათესავები. მეორე თვისება ისეთი ნათესაობისაა, რომელსაც ამყარებს ორი ქორწინება სამ სხვა და სხვა გვარეულობათა შორის, მაგალითად ჩემი სიძე (დის ქმარი) და ჩემი მეუღლე; აქ ორი ქორწინებაა: 1. ჩემი და ჩემი მეუღლის, 2. ჩემი დის და მისი მეუღლის, გვარეულობა კი სამი: 1. ჩემი მეუღლის, 2. ჩემი და ჩემი დის, 3. ჩემი სიძის.

ხარისხათ იგულისხმება დაბადება ერთი ადამიანისა მეორისაგან, მაშასადამე იმდენი ხარისხია რამდენიც დაბადება. ცოლი და ქმარი ცალკე ხარისხს არ შეადგენენ, ამიტომ ჩემი მეუღლის ნათესავები ჩემთან იმავე ხარისხში ითვლებიან, რომელშიაც იმასთან. მშობელთა და შვილებთა შორის ერთი დაბადებაა, მაშ ხარისხიც ერთია; და-ძმათა შორის ორი დაბადებაა (ძმა-მშობლები, და იგივე მშობლები) და ხარისხიც ამიტომ ორია. გერი (პირველი თვისობის ნათესაობაა) მამინაცვალ-დედინაცვალთან იმავე ხარისხში ითვლება, რომელშიაც შვილი თავის მშობლებთან, ხოლო მათ ნამდვილ შვილებთან,—როგორც ნამდვილ და-ძმასთან.

ნათლმირონობის ძალით აკრძალულია მხოლოდ შემდეგი ქორწინება: ნათლიისა მონათლულთან და მის ცოლ შვილთან და დედ-მამასთან, მონათლულისა ნათლიასთან და მის ცოლ შვილთან და დედ-მამასთან.

*) ეს დებულება წარედგინა მთავრობას დასამტკიცებლად. რედ.

## კორესპონდენცია.

**ტყიბულიდან.** 2 აგვისტოს მოვედი ტყიბულში. ჩვეულებრივად მოვეჩქარებდი რომ სამი საათის მატარებელს წამოვყოლოდი. ტყიბულში იმედი გამიცრუვდა. მატარებლის მიმოსვლა ქუთაისს და ტყიბულს შუა შეეცვალათ. იძულებული შევიქენი ტყიბულში ღამე გამეთია და მეორე დღეს მატარებელს დილის 4 საათზე გამოვყოლოდი.

დავრჩი პლ. გაბრიჭიძის დუქანში, თან ორი პატარა ბავშვები მახლა, მდგომარეობა საშინელი შეიქნა. წვიმდა საშინლად, კიდევაც ციოდა, დუქანში ქვემაგებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, დავაწვინე საცოდავი ბავშვები ფიცრის ლოგინზე, გავიხადე ჩემი ტანისამოსი და დავახურე, ლოგინზე სილა—ტალახი—რამდენია, ვინ მოსთვლის, როგორც იქნა ბავშვებს მიეძინათ, ვყრივართ ბნელი ოთახში, მგზავრები სხვაც ბევრი იყო, რაჭიდან და მუხურიდან მატარებელს ჩამორჩენილნი.

მე სკამზე ვზივარ და თავს ასკილავით ერო გამოშვებით ურტყამ სტოლს.

ღამის 11 ნახევარი საათია. შემოდის ტყიბულის თუ ხრესილის კომისარი.

მივარდება მედუქნე გაბრიჭიძეს ყვირილით: „ოთახი—სკამები, ღვინო“, — ბატონო [illegible] მგზავრებია.

— „აი შენ, უზრდელო, უსინდისო, არ იცი, მე ვინ ვარ,?. ახლავე გამოყარე ყველა, ან და მე დამთვლენი „Я ВЫГОНЮ“.

გაბრიჭიძემ დაიდო გულზე ხელები — „არა, ბატ... უკაცრ...“—„მე ვინ ვარ კნიაზი, მე ვარ „Начальник участка“.

დაანება ბოლოს თავი მედუქნეს, და უყვირის თავის თანაშემწეს:

შენ გესმის: სად არის „დუმბაძე“ სად დამალე, მე იმას მოვკლავ,... და სხვ... ქონდათ საუბარი ყვირილით შინაურ საქმეებზე.

ბოლოს დაიდგეს სუფრა დუქნის შემოსავალში, მორთეს სიმღერა თუ ყვირილი —უფრო იერიქონის საყვირის ხმას მოგაგონებდა, რომელიც გაგრძელდა ღამის 2 საათამდის.

ასე გაგვიმასპინძლდა ტყიბულში ის პირი, რომელიც წესიერების დასაცავათ არის გაგზავნილი.

სწორეთ გასაკვირველია ჩვენი რკ. გზის მთავრობის განკარგულება. რკინის გზა ტყიბულში ემსახურება მარტო ოკრიბის მცხოვრებლებს კი არა, არამედ ფართო საზოგადოებას. ამ გზით მიდის-მოდის მთელი რაჭის მაზრა და მუხურის და ჩხარის საზოგადოება.

თუ მთავრობამ მიიღო მხედველობაში მარტო ოკრიბის მცხოვრებლები იმ აზრით, რომ ოკრიბლები ჩამოვიდენ ქუთაისში დილას და საღამოს შინ გაბრუნდენ—ეს შემცდარი აზრი იქნება—რადგან ოკრიბლები ჯერ ერთი ქუთაისში ადვილად შესძლებენ ღამის გათევას, მეორეთ გაჭირების დროს შეუძლიათ ქვეითათ წაბრძანდენ შინ და 10—15 ვერსტი გაიარონ.

რა ქნან რაჭველებმა და მათ, ვინც ტყიბულიდან კიდევ—40—50 ვერსტზე არიან დაცილებულნი.

აქედგან მივლენ ტყიბულში ღამე—იქიდგან წამოვლენ—უსათუოთ წინადღით და კიდევ ღამე უნდა გაათიონ ტყიბულში კი რა მოელისთ მათ ვაჭრ პისაგან ეს მკითხველისათვის მიმინდვია.

საჭიროა რკინის გზის მთავრობამ მიაქციოს ყურადღება ამ სამწუხარო მოვლენას, იხსნას ხალხი ამ განსაცდელისაგან—უკეთესია ძველებურად დატოვონ მატარებლების მიმოსვლა.

**ნესტორ მუხურელი.**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

### მატარებელთა სახაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქ თაისს მოდის.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თბილისიდან.** | | | | | |
| პირდაპირი | № 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. | |
| საფოსტო | — 3 | დღის | 8 | — | 30— |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 8 | — | 10— |
| **ფოთ ბათომიდან.** | | | | | |
| სამგზავრო | № 24 | დღის | 2 საათ. | 20 წ. | |
| საფოსტო | — 3 | ღამის | 10 | — | 18— |
| **ტყიბულიდან.** | | | | | |
| საფოსტო | № 3 | დილის | 8 საათ. | და 15 წ. | |
| **ქუთაისიდან გადის.** | | | | | |
| **თფილისისაკენ.** | | | | | |
| პირდაპირი | № 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. | |
| სამგზავრო | — 24 | ღამის | 12 | — | 40 — |
| საფოსტო | — 4 | დილის | 8 | — | 45 — |
| **ფოთ-ბათუმისკენ.** | | | | | |
| საფოსტო | № 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. | |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 6 | — | 40 — |
| **ტყიბულისკენ.** | | | | | |
| საფოსტო | № 4 | დღის | 4 საათ. | — — | |

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.